სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 19 (4558) ● 13 დეკემბერი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

ფეხბედნიერი იყოს დამდეგი შობა – ახალი წელი!

თბილისის 151-ე საჯარო სკოლა – დიდი ოჯახი

სადაც არის გული შენი

ზეციური განგებით, სადაც უნდა იყოს ადამიანი, რასაც უნდა აკეთებდეს, თუ ეს მისი კუთვნილი ადგილი არ არის, როცა იქნება, მოკიდებს უჩინარ ხელს მფარველი ანგელოზი და სწორედ იქ მიიყვანს, იმ საქმეზე დააყენებს, რისთვისაც მოავლინა იგი ამქვეყნად მამაზეციერმა.



ამიტომაცაა, რომ ზოგი გვიან ადგება სათავისო სავალს, სხვანი სულაც მთელი ცხოვრება ღობე – ყორეს ედებიან, რადგან ვერ შეიგრძნეს უფლის წყალობა, მავანნი კი თავიდანვე მტკიცედ მიაბიჯებენ მათს კუთვნილ გზაზე. ხედავს ყოვლისმხილველი, ვის რა უძევს გულში და სწორად მავალნიც სწორედ სულსა და გულს აქსოვენ ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ საქმეში.

თბილისის 151-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა (იგი მოვალეობის შემსრულებელი აგერ უკვე 21 თებერვლიდანაა) ქალბატომა **ლიანა ჩხაიძემ** 1985 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი ინჟინერ – ქიმიკოსის სპეციალობით. მაშინ ხომ მაინც მუშაობდა სათანადო პროფილის მრავალი სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტი თუ საწარმო? მაგრამ იგი აზრთა გამრიგემ 151-ე სკოლაში მიიყვანა ქიმიის კათედრის ლაბორანტად. მიიყვანა და მიიყვანა. ყოფილიყო ასე. ნურას უკაცრავად. ქალბატონ ლიანას შინაგანი ძარღვი პედაგოგობისთვის უფეთქავდა; სურდა, რაც შეიძლება მეტად გამოდგომოდა უკვე საყვარელ სკოლას, ზოგადად, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობების აღზრდის უმნიშვნელოვანეს და ურთულეს საქმეს და ამიტომაც ორჯერ გაიარა კვალიფიკაციის კურსები: ქიმიის პედაგოგიც გახდა და დაწყებითი კლასებისაც. დააფასეს ეგზომ შემოქმედი, მასწავლებლობისათვის მოწოდებული სპეციალისტი: ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ დააწინაურეს, შემდეგ–დირექტორის პირველ მოადგილედ. ახლა კი, როგორც ითქვა, დირექტორის მოვალეობას ასრულებს.

უყვარს და, მერე როგორ, ეს სკოლა. არიან ადამიანები, ვისაც ერთი, მაგრამ უძლიერესი სიყვარული ძალუძთ. აგერ, შესთავაზეს სხვა სკოლაში გადასვლა დირექტორის მოადგილედ. თითქოსდა, რა–ისიც ხომ სკოლაა, იქაც ხომ აკვალიანებენ ყმაწვილებს, მაგრამ, მოგეხსენებათ, რაც ერთხელ ცხოვლად გულს დააჩნდებისო...

ბევრ სკოლაში ვყოფილვარ, მაგრამ ეგრე არსად გავუკვირვებივარ: ჯერ ხომ ქალბატონ ლიანას... მოადგილე არა ჰყავს. თავადაა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელიცა და მოადგილეც. მერე კიდევ, ზეპირად ჩამომითვალა ყველა (70-ზე მეტი) პედაგოგის სპეციალობა, სერთიფიცირება, მედალოსნები. კი, ბატონო, ეგებ, ეს სავალდებულო არც იყოს დირექტორთათვის, მაგრამ ამ ფაქტის მიღმა ძალზე ბევრი რამაა საგულისხმო.

ამის შემდეგ აღარ გამკვირვებია, როცა პედაგოგები ერთხმად მარწმუნებდნენ, ლიანამ ყოველი მოსწავლის ავ-კარგი უწყის, იცის, ვის რა აწუხებს და ახარებს, როგორ მიუდგეს თითოეულ მათგანს და მათი (ყველასი!) სახელებიცა და გვარებიც იცის–1151 მოწაფის! კიდევ მეტი–თითქმის ყოველი მშობლის ვინაობაც მოეხსენებაო.

თვალში საცემი იყო, რაოდენი ნდობა და პატივისცემა ჰქონდათ ურთიერთისა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელსა და მასწავლებლებს. მართლაც, დიდ ოჯახად წარმომეხსენენ, სადაც ყოველი წევრი რუდუნებით ჩაჰკირკიტებს თავის წილ საქმეს და ერთობლივად, შეწყობილად ემსახურებიან ქვეყნისათვის უდიდესსა და უმნიშვნელოვანესს.

ქალბატონი ლიანას თქმით, და, ცხადია, ეს ასეცაა, სწორედ

პედაგოგია სასწავლო – აღმზრდელობითი პროცესის ძირთაძირი, ქვაკუთხედი და მას ღირსი პატივითა და სათუთად უნდა მოექცე, მისცე შემოქმედებითი თავისუფლება, არ ჩაუკლა ინიციატივა, დაინახო და დააფასო მისი მუშაკობა.

151-ე სკოლაში, მართლაც, ერთ – ერთი უძლიერესი პედაგოგთა კოლექტივია. ორმოცდაორი მასწავლებელი სერთიფიცირებულია. მათგან ოთხი – **ქეთევან აბაზაძე, ნათია გვაზავა** (ინგლისური), **თეა გაბისონია** და **ნატო ტოროშელიძე** (ქართული) 1000-ლარიან ანაზღაურებასაც იღებენ.

სერთიფიცირებულნი – დაწყებითი კლასების, ქართული, რუსული, ინგლისური და ფრანგული ენების, ქიმიის, გეოგრაფიის, მათემატიკის, ბიოლოგიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების, ხელოვნების, მუსიკის პედაგოგები: **მარეხ ბასილაძე, ნინო ბაჯაძე, ლაურა ბეგიაშვილი, მაკა გაგნიძე, თამილა გეგელია, ლალი გობეჯიშვილი, ლალი დოლიძე, ნინო ვარაზაშვილი, მარიამ ზადელაშვილი, დალი თეგელაშვილი, მედეა თუთბერიძე, სოფიო ირემაშვილი, ირმა კევლიშვილი, თამარ კიკაბიძე, ეკატერინე კიკნაველიძე, ირინე კობეშავიძე, ეკატერინე ლოლაშვილი-თევდორაშვილი, ნატალია ლორთქიფანიძე, ლია მახარობლიძე, ინდირა მელიქიძე, მარიზა მელქაძე, რუსუდან მენაბდიშვილი, ქეთევან მეტრეველი, ქეთევან მინდელი, ლალი მჭედლიშვილი, ქეთევან ნარიმანიშვილი, ხათუნა სამსონაშვილი, მარინე ნასაძე, ეკატერინა სებისკვერაძე, თამარ სეხნიაშვილი, ნინო სიხარულიძე, ნატო ტოროშელიძე, მაია ყაზიაშვილი, მარინე შუკაკიძე, ხათუთი ჩალაძე, ანა ჩერქეზიშვილი, ლეილა ჩიტაიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ლიანა ხურციძე.**

კოლეგებს ღირსეულად უდგანან მხარში, მთელი ძალითა და ერთობლივი შემართებით იღვწიან მასწავლებლები: **ნეტა ბერსენაძე, ლაშა ბუცხრიკიძე, თამარ გელაძე, ლეილა დალაქიშვილი, მაია დაღუნდარიძე, მაკა ვაშაკიძე, ეკატერინე ვაჩნაძე – ბუაძე, ნინო თაბუკაშვილი, იოსებ თანანაშვილი, ია იაკობაშვილი, ლეილა ლაფერაშვილი, თამარ მაკალათია, ნინო მახარობლიძე, თინა მელიქიძე, გიული ნატროშვილი, ნაზი პირველი, ნათელა სარჯველაძე, თეონა ქავთარაძე, ნინო ქართველიშვილი, თამარ ქილიფთარი, ალექსი ქისტაური, ლელა შარაბიძე, გენულ ძიმისტარიშვილი, ნინო ხიზანიშვილი, ნინო ჯაფარაშვილი.**

სკოლაში არ არის დიდი და მცირე საქმე. საერთო წარმატება მისი ყოველი მუშაკის ერ-

გაგრძელება მე-2 გვ. →

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

მუხრან მაჭავარიანი



გილოცავ!

გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ,
შენ, ვისაც სამშობლო გიყვარს...
გელა ხარ, თინა ხარ
შოთა ხარ, ცირა ხარ
ეს სულეთია – ვინ ხარ
ახალი წელია... თოვლიც
გვესალმება...
თოვლიც გვესალმება ციდან...
– ცრემლები?! ცრემლებზე –
ბოდიში!
– ღიმილი?! ღიმილი – რამდენიც
გინდა...
ბავშვებო! თქვენსავით მეც ვიყავ
მოსწავლე...
მე დღსაც არ ვსწავლობ განა?!
ამოტომ ერთმანეთს, ამიტომ
ერთმანეთს
ვუსურვოთ ათებზე სწავლა.
გვიყვარდეს სამშობლო,
სიმართლე გვიყვარდეს,
გვიყვარდეს, გვიყვარდეს წიგნი!
რაც უნდა ისურვო, რაც უნდა
ინატრო,–
ესაა ყველაზე დიდი.

დავაფასოთ, ვინც იბრძოლა მამულისათვის!

ასეთ ღონისძიებებს დღეს უაღრესად დიდ სასწავლო – აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. უფრო რეზონანსული იქნება იგი ხვალ და ზეგ. როგორც გურამიშვილი იტყოდა: „მოსწავლე უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, ან კიდევ წავა სადაო“. უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, მან უნდა იცოდეს, „ვისი გორისაა“.

ასეთი მისაბაძი ღონისძიებები უფრო ხშირად, უფრო მასშტაბურად უნდა ეწყობოდეს ყველა სასწავლო დაწესებულებაში. მაშინ კი აღმზრდელობითი მუშაობა თავის სიმაღლეზე დადგება და ის საზარელი მოვლენები, რაც დღეს ასე გვაფორიაქებს და გვზარავს, დიდწილად თავიდან იქნება აცილებული. აქედან ჩანს, რომ სკოლის თვითმმართველობა საინტერესოდ, ნაყოფიერად უძღვება საქმეს.

გაზეთი „სახალხო განათლება+“ გულწრფელად მიესალმება თბილისის 116–ე საჯარო სკოლის ამ ძალისხმევას, მადლობას უხდის მის ორგანიზატორებს, ყველა მონაწილე მოსწავლესა თუ სხვა პიროვნებას, განსაკუთრებით – ახალგაზრდა, ნიჭიერ, შემოქმედ, ყოველგვარი სიახლის ინიციატორ დირექტორს – ნ ა ნ ა ღ ა ჭ ა ვ ა ს.

ახლა კი გთავაზობთ რედაქციაში შემოსულ, ამ ღონისძიების ამსახველ მოკლედ და კომპაქტურად დაწერილ ინფორმაციას სათანადო ფოტოების თანხლებით და უცვლელი სათაურით:

აფხაზეთი ჩვენი ტკივილია

თბილისის N 116 საჯარო სკოლაში 2017 წლის 24 ნოემბერს გაიხსნა აფხაზეთში დაღუპულ გმირთა მემორიალური დაფა. აღნიშნულთან დაკავ-

შირებით სკოლის თვითმმართველობამ და შემოქმედებითმა ჯგუფმა დაგეგმა და ჩაატარა ღონისძიება თემაზე: ***„აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“*** მოწვეულნი იყვნენ ომის ვეტერანები, რომლებმაც უდიდესი გულისტკივილით გაიხსენეს ომში დაღუპული გმირები და დამსწრე საზოგადოებასთან ერთად წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

ღონისძიების ორგანიზატორმა ქალბატონმა ***ნანა ღაჭავამ*** *სიტყვით მიმართა შეკრებილებს და ღონისძიება გახსნილად გამოაცხადა. ღონისძიების მსვლელობისას ერთმანეთს ენაცვლებოდა გმირებისადმი მიძღვნილი ლექსი, ჩანახატი, ცეკვა თუ სიმღერა. თითოეულ ნომერს თან სდევდა აფხაზეთის ტრაგედიით გამოწვეული ტკივილი და სევდა. მართალია, აფხაზე-*

თის ომიდან თითქმის ოც წელზე მეტი გავიდა, თუმცა ეს სატკივარი მუდამ ახალია. სამწუხაროდ, იგი დღესაც მოუშუშებელია. უკვე თაობები გაიზარდა ისე , რომ აღარ უნახავს მშობლიური მიწა. არ იციან „ზღვა, რომელიც შორია“. დიახ, ტრაგედია, მოუშუშებელი იარაა დაკარგულ ფესვებთან დაბრუნების სურვილი დღემდე უამრავი ადამიანის აუხდენელ ოცნებად რომ დარჩენილა. მეტად სავალალოა ეს ვითარება.

ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეები ემოციებითა

და შთაბეჭდილებებით დატვირთულნი გამოდიოდნენ მაყურებლის წინაშე. მათ გამოსვლაში იგრძნობოდა ის, რომ გამოსავალი მხოლოდ მიტევებასა და სიყვარულშია. შერიგება აუცილებელია. სწორედ სიყვარულულით მოპოვებული ნდობა გააქარვებს ზიზღს, უნდობლობასა და საბოლოოდ გაიმარჯვებს საღი აზრი, მშვიდობა. ისტორიული მაგალითებით ბევრჯერ დამტკიცებულა ხალხური სიბრძნე – ***„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.“***

დიახ, მოვა დრო და აფხაზეთში ქართველები კვლავ დაბრუნდებიან და აფხაზებთან ერთად, როგორც წარსულში, ერთმანეთის სიყვარულით ავაშენებთ მშვიდობიან და ძლიერ საქართველოს, მთელ მსოფლიოს გავაგონებთ ქართველი და აფხაზი ხალხის ომახიან ყიჟინას – ***„ჩვენ გვინდა მშვიდობა“! ღონისძიება*** *თავიდან ბოლომდე ამ რწმენით იყო აღბეჭდილი. ყველასათვის დაუვიწყარი იქნება ეს დღე.*

მაია გამისონია,
ბორის კინდღელი

→ 1–ლი გვერდიდან

თობლივი გარჯის შედეგია. ამიტომ მნიშვნელოვანია საინფორმაციო მენეჯერის **დიანა მიქაძის,** ფსიქოლოგ **შორენა მუმლაძე – ტყაბლაძის**, მნის **მურმან მინდიაშვილის**, ბუღალტერ **ირინა მაისაშვილისა** და საქმისმწარმოებელ **ინგა ირემაძის** საქმიანობა.

შვიდი საგნობრივი კათედრა ყველა პედაგოგს მოიცავს: სახელმწიფო ენის (ხელმძღვანელი — **რუსუდან მენაბდიშვილი**); მათემატიკის (**ინდირა მელიქიძე**); უცხო ენების (**ლალი დოლიძე**); საბუნებისმეტყველო (**თინა მელიქიძე**); საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**ლია მახარობლიძე**); დაწყებითი განათლების (**თამარ ქილიფთარი**); ესთეტიკისა და სპორტის (**ნინო ვარაზაშვილი**).

პედაგოგები, **ლიანა ჩხაიძის** ხელმძღვანელობით, სამეურვეო საბჭოსა (თავმჯდომარე – **მაკა გაგნიძე**) და მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად (**გიორგი ვაშაძე**, X კლასი), კოორდინირებულად წარმართავენ მუშაობას, უზიარებენ გამოცდილებას, იმუშავებენ რეკომენდაციებს დამხმარე სასწავლო მასალების, ახალი მეთოდოლოგიების შესახებ. ერთობლივად ისახება პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები. მთელი ძალისხმევა მოსწავლეთა საკეთილდღეოდაა მიმართული.

ოქროს მედალზე დაამთავრეს სკოლა **მარიამ კვარაცხელიამ**, **ნანო ადამიამ** და **ელენე ჯანელიძემ**; ვერცხლისაზე – **ზურაბ კალანდიამ, ანა ადამაშვილმა, ნინი ასათიანმა, ნიკოლოზ მგელაძემ, ნათია წოწონავამ.**

სკოლის გუნდი წარმატებით ასპარეზობს რეიტინგულ საბავშვო – საგანმანათლებლო პროექტ **„ტვინების ბრძოლაში“**. ყველა ოლიმპიადაში მონაწილეობს I-IX კლასების მოსწავლეთა 60-65%. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში X-XI-XII კლასების 50%-ზე მეტია ჩართული.

ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია ჯერ კიდევ 1971 წელს გაყვანილი საკანალიზაციო სისტემის გამოცვლა. მანამდე კი სკოლა თვეში ერთხელ ატარებს დეზინფექციას. მესამე–მეოთხე სართულები გასარემონტებელია. თადარიგი დაჭერილია. სათანადო წერილები გაიგზავნა განათლების სამინისტროში და იქიდანაც დამაიმედებელი პასუხებია მოსული.

მეორე უცხო ენად ფრანგული ისწავლება. სკოლა ცნობილი ფრანგი პედაგოგის **სელისტენ ფრენეს** ასოციაციის წევრია; თანამშრომლობს საფრანგეთის საელჩოსთან. პედაგოგები სტაჟირებას საფრანგეთში გადიან.

მოკლედ, ასე იღვწიან და ცხოვრობენ, სწორედ ერთიან დიდ ოჯახად ცხოვრობენ 151–ე სკოლის პედაგოგები და ასევე ერთობით მიილტვიან მათი ცხოვრების უმთავრესი მიზნისკენ ღირსეული, მცოდნე, სამშობლოს მოყვარული თაობების აღზრდისაკენ.

P. S. ***პედაგოგებისაგან შევიტყვე, ლიანა ისე მოუცლელია, ვერც სამშობიაროში შეძლო დროულად მისვლა შვილიშვილის სანახავად და ვერც მეუღლე მოინახულა საავადმყოფოშიო. ყოველივე ზემოთქმულში რომ არ დავრწმუნებულიყავი, შესაძლოა, ეს საქმისთვის თავმოუბმელობისათვისაც მიმეწერა, მაგრამ აქ პოლარული განსხვავება – უბრალოდ, ქალბატონმა ლიანამ იცოდა, სად უფრო საჭირო იყო. ამიტომაც სჯერა მისი მთელ კოლექტივს, სრულ ნდობას უცხადებს მას. იციან, სადაცაა გული მისი – 151–ე საჯარო სკოლაში.***

კონსტანტინე გურგენიძე

რეგიონის სანიმუშო კერძო სასწავლებელი

„მზეკაბანი 2“ – საგანმანათლებლო სივრცეში მზესავით კაშკაშებს

შეხვალთ თუ არა, თვალი გაგინათდებათ და გული გაგითბებათ, რადგან აქ მუდამ წესრიგი, შემოქმედებითი ფუსფუსი და ცოდნის ზეიმია — ეს რუსთავის საერო სკოლა **„მზეკაბანი 2“**-ია. იგი საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გამორჩეული სასწავლო კერაა, რომელიც მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

„მზეკაბანი 2-ში“ სტუმრობისას გულთბილად მიგვიღო სკოლის დამფუძნებელმა და დირექტორმა, ღვაწლმოსილმა პედაგოგმა და შესანიშნავმა პიროვნებამ **ბელა ჯანგიძე – გოცირიძემ**. ქალბატონ ბელას კარგად იცნობენ განათლების სფეროში, იგი 55 წელიწადია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, ხოლო სამ ათეულ წელზე მეტი სკოლის დირექტორის თანამდებობას იკავებს. გამორჩეული თვისებებისა და საქმისადმი თავდადების გამო, იგი რუსთავში ერთ-ერთი პოპულარული და პატივსაცემი ქალბატონია, სწორედ ამიტომაც მიანიჭეს მას „რუსთავის საპატიო მოქალაქის“ წოდება.

–**„მზეკაბანი 2’’** ერთი პატარა და ლამაზი ოჯახია ჩვენი ბავშვებისთვის და არამარტო მათთვის, არამედ უფროსებისთვისაც - ასე დაიწყო ჩეენთან საუბარი ქალბატონმა ბელამ, რომელიც დედასავით ზრუნავს თითოეულ მოსწავლეზე და ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ყველა აღსაზრდელმა თავი კომფორტულად იგრძნოს, სკოლიდან შესაბამისი ცოდნა მიიღოს. სკოლა უკვე 17 წელიწადია გახლავთ საკმაოდ წარმატებული. ამიტომაც, მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა და მსურველთა რიცხვი სულ უფრო მატულობს.

–**ქალბატონო ბელა, იქნებ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა არის „მზეკაბანი 2’’-ის წარმატების საიდუმლო?**

–„მზეკაბანი 2’’ ჩემი მეორე სახლია და იგი შვილივით მიყვარს. ამ კერძო სკოლის სიკეთე ის არის, რომ აქ შედარებით მცირეა ბავშვთა რაოდენობა და ვცდილობთ, მოსწავლეებს ფუნდამენტური და საფუძვლიანი ცოდნა მივაწოდოთ. სკოლა 2000 წელს გაიხსნა და საკმაოდ პრესტიჟული სასწავლო დაწესებულებაა. წარმატებით გავიარეთ ავტორიზაცია და თანდათანობით მივიწევთ წინ. მესამე წელიწადია, რაც საკუთარი შენობა გვაქვს. იგი ორსართულიანია და კეთილმოწყობილი; პირველ სართულზე **საბავშვო ბაღია** განთავსებული, ხოლო მეორეზე – **სკოლა**, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება **მათემატიკა** და **ინგლისური ენა**. რაც იმას ნიშნავს, რომ საათობრივი დატვირთვა გაზრდილია ამ საგნებში. ინგლისურ ენას პირველი კლასიდანვე ვასწავლით. ასევე, დამატებითი საგნებიც გვაქვს პროგრამით გათვალისწინებული, რომლის უფლებაც გვაქვს კერძო სკოლებს. ისწავლება ჭადრაკი, ქორეოგრაფია – **ქართული ხალხური ცეკვები და სხვა**. „წიგნიერება“ კი, ჩვენი საავტორო პროექტია, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოსწავლეებს წიგნის სიყვარული გავუღვივოთ, ცოდნა განვუმტკიცოთ.

სკოლას ამშვენებს ლამაზი და კეთილმოწყობილი ეზო სპორტული მოედნით, **საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, სპორტული** და **სააქტო დარბაზები**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მდიდარი ლაბორატორია, **ბიბლიოთეკა**, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე, უახლესი ლიტერატურით. ბავშვებს ძალიან უყვართ აქაურობა და გაკვეთილების შემდეგაც აქ არიან.... მშობლებიც გვერდში გვიდგანან, რომელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია.

სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა უმეტესობა სერთიფიცირებულია. პედაგოგთა საუკეთესო მუშაობას კათედრები უზრუნველყოფენ, რადგან არაერთ გეგმასა და პროექტს ახორციელებენ.

„მზეკაბანი 2’’-ის სამოდელო გაკვეთილების გეგმის შესახებ გვესაუბრება დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის დარგში **ფიქრია ფეიქრიშვილი**.

– ჩვენი სკოლის პრიორიტეტია მაღალხარისხიანი ცოდნა, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებლად, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნებების ჩამოყალიბებას. ვზრუნავთ მოსწავლეების სულიერი და პიროვნული თვისებების განვითარებაზე. პედაგოგები საკმაოდ აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობენ. ამიტომაც არის, რომ სკოლაში აკადემიური სწავლების ხარისხი შესაბამისად მაღალია. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი ისწავლება დამატებით საგნებთან ერთად. დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას და სპორტს. გვყავს შესანიშნავი დირექტორი, რომელიც გამოცდილი და უმაღლესი დონის პროფესიონალია. მას კარგად ესმის განათლების სისტემა და მუდამ ცდილობს ინოვაციების დანერგვას.

სკოლაში მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის გაზრდისა და ცოდნის ამაღლების მიზნით ხშირად ტარდება ღია და ინტეგრირებული, სამოდელო საჩვენებელი გაკვეთილები. განსაკუთრებით გამოირჩევიან პედაგოგები **ე.ბუნტური, ს.ნარიმანიძე, ნ.კინტირაია, ი.საჯაია**. გასვლითი გაკვეთილები ბუნებისმეტყველებაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

მოსაწონი იყო რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარებული პრეზენტაცია **„საქართველო-რომის ურთიერთობები“** (პედ. **თ. ენდელაძე, თ. გოგოლაური**); გათვალისწინებულია საჩვენებელი გაკვეთილები ინგლისურ ენაში (პედ. **ნ.ცუცხაშვილი, მ.კაპანაძე**); ქიმიაში (პედ. **ი.გურაბანიძე**) **და სხვა**.

დაწყებითი განათლების მასწავლებელთა კათედრამ დიდი წარმატებით ჩაატარა იაკობ გოგებაშვილის კვირეული, სადაც ერთ – ერთ დღეს ბიბლიოთეკაში მოეწყო დიდი იაკობის შემოქმედების განხილვა, ამ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მშობლებიც. ხშირად ეწყობა ექსკურსიები, კონკურსები, მხატვრული საღამოები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან.

სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, საიდანაც სიგელებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. შეიძლება დასახელდნენ მე -11 კლასელები: **გიორგი ერისთავი-გოლოძე, ზურა სიმონიშვილი, საბა კასრაძე, დავით ადეიშვილი. საბა მაღლაკელიძე, მარიამ ფანქველაშვილი** და სხვა.

ხალისით ესწრებიან მოსწავლეები კინოგაკვეთილებს, რომელსაც სკოლის პიარ- მენეჯერი **გელა გოცირიძე** წარმართავს. ჩვენების შემდეგ ეწყობა ნანახი ფილმების განხილვა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი და თანადროული იყო პედ. აგოგ **ს.ნარიმანიძის** მიერ ჩატარებული კინო-გაკვეთილი საქართველოს ისტორიული ეპიზოდების განხილვასა და ზნეობრივ საკითხებზე, თემით: **„ის კი არ არის ბიჭობა!“**

ეს გაკვეთილი ქ. თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში მომხდარ ტრაგედიას ეხებოდა. მოზარდებმა ღრმა ანალიზი გააკეთეს სამწუხარო რეალობასთან დაკავშირებით. დასკვნა ერთობლივი იყო –**„არა ბულინგს!“.**

სკოლა მეგობრობს კავკასიის უნივერსიტეტთან, სადაც გამართულ კონკურსში **„სამშობლო ჩემი უბნიდან იწყება“** მე-11 კლასელმა ზურა სიმონიშვილმა გაიმარჯვა და პრიზად „ვეფხისტყაოსნის’’ მაღალი პოლიგრაფიული გამოცემა და სერთიფიკატი დაიმსახურა. გვაქვს დიდი მიღწევები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი მოსწავლეთა თვითმმართველობაა (თავ-რე **ს. კასრაძე**.) მოსწავლეები, მშობლებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული სკოლის ცხოვრებაში.

„მზეკაბან 2’’-ში სწავლის საფასური მიზერულია, თუმცა სწავლის ხარისხი მაღალია. უზრუნველყოფილია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებაც.

უჩვეულო და გამორჩეულია სხვა დანარჩენი სასწავლო დაწესებულებებისგან სულ ახლად შექმნილი გახანგრძლივებული დღის სკოლა I-VII კლასების მოსწავლეთათვის კვებით, ბავშვები სკოლაშივე ამზადებენ საშინაო დავალებებს, სწავლობენ გაკვეთილებს, ისინი მაღალ წარმატებებსაც აღწევენ. მშობლები მადლიერებას გამოთქვამენ პედაგოგების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ აქაური აბიტურიენტები არ საჭიროებენ რეპეტიტორს და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებს წარმატებით აბარებენ. ამის დასტურია 3 ოქროს და 5 ვერცხლის მედალოსანი კურსდამთავრებული, რომლებიც საზოგადოების ღირსეული წევრები არიან.

„მზეკაბანი 2’’-ის მოსწავლეები შესანიშნავად ერკვევიან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსა და განათლებული საზოგადოების აქტიურობაზე ცხოვრების უკეთესად მოწყობისათვის, რომელიც პედაგოგ **ლ. მარტაშვილის** დიდი დამსახურებაა.

აქ ზრუნავენ არამარტო განათლებაზე, არამედ მოზარდების განვითარებასა და პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც, მშობლები კმაყოფილები არიან, რადგან იციან, რომ **„მზეკაბან 2’’**-ში საუკეთესო მოქალაქეები აღიზრდებიან.

სასკოლო ანსამბლში ბუნებრივად ჩართულია **საბავშვო ბაღი**. იგი შენობის პირველ სართულზეა განთავსებული და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, სათამაშოებითა და სხვადასხვა თვალსაჩინოებით. ბაღი გამოირჩევა სანიტარული წესების მკაცრი დაცვით, დისციპლინით, ხარისხიანი და დაბალანსებული კვებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც, სურსათის უვნებლობის სააგენტოს მონიტორინგის შედეგად ყოველთვის დადებით შეფასებას იმსახურებენ.

ბაღის მენეჯერია ახალგაზრდა ენერგიული ქალბატონი **ლელა ადეიშვილი**. იგი გამოცდილი კადრია და თხუთმეტი წელიწადია სკოლამდელი აღზრდის სისტემაში მუშაობს. თავდაპირველად მუშაობდა აღმზრდელად, ხოლო შემდეგ მეთოდისტის პოზიციაზე გადაინაცვლა რუსთავის ბაღების გაერთიანებაში. უკვე მესამე წელიწადია **„მზეკაბანი 2’’**-ის ბაღში მუშაობს და საკმაოდ წარმატებითაც. მისი მოსვლის დღიდან ბაღში ბავშვთა რაოდენობა გაიზარდა. ჯგუფები დაკომპლექტებულია სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებად. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის’’** პროგრამა, ტარდება შემოქმედებითი ღონისძიებები, აქტივობები და საინტერესო სეზონური ზეიმები. ცუგრუმელებისთვის აქ იდეალური პირობებია შექმნილი და მათ მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელები და მათი დამხმარეები ფსიქოლოგთან, ლოგოპედთან სამედიცინო პერსონალთან და გემრიელი საჭმელების დიდოსტატებთან **იზო** და **ციცო ბებოსთან** ერთად.

ბაღი სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამით ხელმძღვანელობს და **მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული**. პატარები აქ თამაშ-თამაშით სწავლობენ მათემატიკას, ინგლისურ ენას, ლოგიკურ აზროვნებას, მსჯელობის უნარს, მეტყველებას და ა.შ. ერთი სიტყვით, ბაღის მესვეურები ძალღონეს არ იშურებენ, რათა სკოლას ღირსეული თაობა მოუმზადონ.

როგორც ქალბატონმა ბელამ აღნიშნა, **„მზეკაბანი 2’’** ბავშვებისთვის ერთი პატარა და საყვარელი ოჯახია. ეს მართლაც ასეა. **„მზეკაბანი 2’’** მართლაც ცოდნის კერაა, სადაც მოსწავლეებს საუკეთესო განათლებასაც აძლევენ და კარგ მოქალაქეებადაც აყალიბებენ.

გვიახლოვდება შობა-ახალი წელი. **„მზეკაბანი 2’’**-ის ყველა მოსწავლეს და პედაგოგს ვულოცავთ მას და ბედნიერებას ვუსურვებთ!

მზია გოგოძე

ქვაკუთხედი – მოსწავლის ინტერესები

რედაქციისაგან: ჩვენი ხელმოკლეობის გამო, ძალზე გვიჭირს თბილისის მიღმა „გახედვა“. ამიტომ განსაკუთრებით ფასეულია სხვადასხვა რეგიონიდან ჩვენამდე მოღწეული ყოველი ხმა. გვახარებს, რომ განათლების სისტემაში გვყავს ისეთი პიროვნებები, ვისაც გასიგრძეგანებული აქვთ პედაგოგიური პრესის დიდი მნიშვნელობა ამ დარგში არსებული უამრავი პრობლემების გადაჭრასა თუ გამოცდილების გაზიარებაში. ცხადია, კარგია სხვადასხვა ტრეინინგი, მაგრამ პრესა ხომ სულ სხვა მასშტაბია?!

ამიტომ ვემადლიერებით ყველა ავტორს და გთავაზობთ რუსთავის მე-17 საჯარო სკოლის დირექტორის ქალბატონ ნელი ლიქოკელის ერთობ საინტერესო და აქტუალურ წერილს.

სკოლა, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ, 1962 წელს დაარსდა. გურამიშვილის ქუჩაზე მდგარი წითელი აგურით ნაშენი განსაკუთრებული შენობა რუსთავის მე-17 საჯარო სკოლაა. ანუ იგი 55-ე წელს ითვლის.

ცხადია, ამ ხნის მანძილზე მას ბევრი წარმატებული ხელმძღვანელი ჰყავდა, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებდნენ სკოლის წარმატებისა და სახელისათვის, ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალაქში მე-17 საჯარო სკოლა ყოველთვის გამორჩეული და საამაყო იყო.

2014 წლის სექტემბრიდან მე მხვდა წილად ვუხელმძღვანელო ამ სკოლას. პედკოლექტივში მრავლადაა სასწავლებლის ცოცხალი მემატიანე. ისინი გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა მასწავლებლებს. აქამდე განათლების სისტემაში ვმუშაობდი, თუმცა – საჯარო სამსახურში. ვფიქრობ, ახლა ვიპოვე ჩემი ადგილი აქ, მათ გვერდით. განსაკუთრებით ვამაყობ ჩემი მოსწავლეებით, რომელთა ამოსუნთქვაც კი კარგად მესმის.

ნათქვამია, ყველაფერი მიდის, ყველაფერი მიედინებაო. იცვლება სწავლის მეთოდები, შეიცვალა ღონისძიებას. აღმზრდელის ერთ–ერთი აუცილებელი თვისება ყმაწვილების მოსმენის, მათი გაგების უნარია და ჩვენც ვცდილობთ მოვუსმინოთ და გავუგოთ მათ და ერთობლივად გადავჭრათ ესა თუ ის პრობლემა, დავსახოთ საინტერესო ღონისძიებები.

სკოლის მართვაში ჩართულია სამეურნეო საბჭო. მას ენდობა სკოლის პედკოლექტივი და თანამშრომლობს მასთან.

სკოლაში 30 პედაგოგია, მათგან – 17 სერთიფიცირებულია.

8 კათედრა - ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხო ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის და დაწყებითი სწავლებისა – ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, რათა მოსწავლემ მისთვის თბილ, საინტერესო გარემოში იგრძნოს თავი.



სკოლა ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმით. აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა დარგში და ყველანაირად ვუწყობთ ხელს მათ განვითარებაში.

განათლების სისტემაში ახალი გამოწვევებია. მოზარდი ყველაზე სათუთი არსებაა. თუ მისი არ გვესმის, არ გვჯერა, უნდობლად ვეკიდებით, ვერასოდეს დავიმსახურებთ მის ნდობასა და პატივისცემას. პედაგოგებსა, და მშობლებს ეს კარგადა აქვთ გაცნობიერებული. ამიტომაც არის, რომ სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არის ჩაბმული თითოეული მათგანი.

ფასებები; ინერგება ახალი მოდგომები და ძალზე ვემადლიერები ჩემს მოადგილეს ქალბატონ **ინგა გელაშვილს,** ვის გარეშეც იოლი არ იქნებოდა ახალ გამოწვევებთან გამკლავება. მას უდიდესი გამოცდილება აქვს, ტრენერია. ამიტომ პედაგოგებს სისტემატურად აცნობს იმ მეთოდებსა და მიდგომებს, რაც მოზარდი თაობის ჯანსაღად აღზრდის საფუძველია.

ჩვენი მუშაობის ძირთაძირია, აღვზარდოთ განათლებული, პატრიოტი, ფასეული პიროვნული თვისებებისა და მაღალი ზნეობრივი ღირებულებების ახალგაზრდები.

მხოლოდ აკადემიურ წარმატებაზე არ ვამახვილებთ ყურადღებას. ვარკვევთ მოსწავლეების ნიჭსა და უნარს სპორტისა თუ ხელოვნების

ყმაწვილებთან დაახლოების, სკოლის ცხოვრებაში მათი კიდევ უფრო მეტად ჩართვის, მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების, სურვილების გამომზეურების ძალზე ქმედითი საშუალება მოსწავლეთა თვითმმართველობაა. ამიტომ ვახალისებთ მათ ინიციატივას, ერთობლივად ვგეგმავთ და ვახორციელებთ სხვადასხვა ღონისძიებებს. ამ მიმართულებით ერთ–ერთი ინიციატივა „ბიბლიოთეკა“ ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად მართავს ღონისძიებას: „ჭეშმარიტი მკითხველი“, ხშირია დებატები, დისკუსიები.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა „თავისუფალი გაკვეთილების“ საგრანტო პროგრამა. ოთხი პროექტი წარვადგინეთ: „კინო – სკოლაში“ (ხელმძღვანელი – **თამთა ლილუაშვილი**); „მე – ლიდერი“ (**ირმა იოსელიანი**) და ორი პროექტი „ხელოვნების სახელოსნო“ (**თამარ მოსაშვილი, დარეჯან ნოზაძე**).

„თავისუფალი გაკვეთილების“ დანერგვამ უკეთ დაგვანახა, სახელდობრ, რა არის მოსწავლეებისთვის მიმზიდველი, რომელი აქტივობებია მათთვის მისაღები და საინტერესო. ამჟამად მიმდინარეობს პროფესიული განვითარების პროექტი სამი მიმართულებით.

სკოლა მცირეკონტინგენტიანი იყო, თუმცა, ბოლო წლებში გაიზარდა მოსწავლეების რაოდენობა, რაც სწავლისა და აღზდის ხარისხის გაუმჯობესებამ განაპირობა.

2016-2017 სასწავლო წელს გვყავდა ორი მედალოსანი: **გიგა გიგაური** და **მარი ჯანგებაშვილი**. ამ სასწავლო წელს

განათლების საამაყო და გამორჩეული კერა



ლამარა მარგველაშვილის სახელობის **„სკოლა XXI საუკუნე“** თბილისის მეტად აქტიური, გამორჩეული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, სადაც 400—მდე მოსწავლე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის განათლებას ეზიარება და XXI საუკუნის ღირსეულ მოქალაქედ ყალიბდება.

აღნიშნული სკოლის ისტორია არსებობის მეორე ათეული წელს ითვლის და მჭიდროდაა დაკავშირებული თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის 53—ე საშუალო სკოლასთან, რომელიც ათწლეულების მანძილზე ქვეყნის წარმატებული სასწავლო დაწესებულების სახელს ინარჩუნებდა. სკოლას ოთხი ათეული წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ბრწყინვალების ორდენის კავალერი, **ლამარა მარგველაშვილი.** სწორედ, მისი თაოსნობით, მისი ხანგრძლივი სასწავლო—აღმზრდელობითი გამოცდილების გათვალისწინებით და პროცესის ახლებური ხედვით, 2000 წელს, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე, დაარსდა ახალი სკოლა, რომელსაც. **”სკოლა XXI საუკუნე“** ეწოდა. მას შემდეგ იგი ერთ—ერთი წამყვანი სასწავლო დაწესებულების სტატუსს ინარჩუნებს, რაც უმთავრესად, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა გუნდის დამსახურებაა.

2008-2009 სასწავლო წლიდან, სკოლა ახალ, თანამედროვე მოთხოვნებზე გათვლილ შენობაში განთავსდა , რომლის კომფორტული და დაცული გარემო დიდწილად განაპირობებს სკოლის მისიის წარმატებით განხორციელებას.

სკოლის სასწავლო პროგრამა აგებულია სწავლების ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე, რაც გულისხმობს კვლევის, აღმოჩენისა და ანალიზის გზით სამეცნიერო და სახელოვნებო საგნების მიმართ მოზარდის ინტერესის განვითარებას და საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. არის კეთილგანწყობილი და კომფორტული გარემო, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, შემოქმედებითი და სპორტული წრეები, მცირერიცხოვანი კლასები, ისევე როგორც, სხვადასხვა დამატებითი საგნებითა და აქტივობებით გამდიდრებული სასწავლო გეგმა.

სკოლის პრიორიტეტებია: **ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება, რუსული ენის გაძლიერებული სწავლება, მესამე უცხოური ენების სწავლება, ვირტუალური ლაბორატორია, მსოფლიო ლიტერატურა, თემატური გაკვეთილები, ჯანმრთელობის გაკვეთილები, ჭადრაკი, ცეკვა, თეატრალიზებული პროექტები, შეხვედრების ციკლი “საუბრები სკოლა XXI საუკუნეში”, გახანგრძლივებული ჯგუფები, სასწავლო გრანტები.**

მრავალფეროვანი აქტივობებია: **სამეცნიერო და სასწავლო კონფერენციები, თეატრალიზებული პროექტები, გასვლითი გაკვეთილები, შემეცნებითი ვიზიტები.**

თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდის უკეთ ინტეგრაციისთვის უცხოური ენების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, სკოლის კურიკულუმი რამდენიმე უცხოური ენის შესწავლას ითვალისწინებს საერთაშორისო სერთიფიცირების შესაბამისად.

სწავლების პროცესში მუდმივად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ, სკოლის მოსწავლეები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებს ვირტუალური ლაბორატორიის დახმარებით ეუფლებიან.

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურადაა ჩართული სკოლის ცხოვრებაში. მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ყოველწლიურად იგეგმება საქველმოქმედო ღონისძიებები, გარემოს დაცვითი პროექტები, ინტელექტუალური თამაშები და კონკურსები, შეხვედრები წარმატებულ და საინტერესო ადამიანებთან.

ლამარა მარგველაშვილის სახელობის „სკოლა XXI საუკუნის“ მისიაა ლიბერალურ —დემოკრატიული ფასეულობების და სამოქალაქო ცნობიერების მქონე, საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების მქონე პიროვნების აღზრდა.

მისიის განსახორციელებლად საჭიროა:

თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების განსაზღვრა, გამოვლენა და რეალიზების ხელშეწყობა;

მოსწავლის აღზრდა ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ფასეულობებზე;

მოსწავლის უზრუნველყოფა ზოგადი განათლებით განათლების ეროვნული მიზნებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება და სასწავლო პროცესის წარმართვა მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით;

ლიბერალურ—დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების, ეროვნული იდენტობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, სოციალური უნარ — ჩვევების ჩამოყალიბება;

თვითგამოხატვის, შემოქმედებითი უნარის განვითარება;

ახალი ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის უნარის ჩამოყალიბება;

ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის გარემოს შექმნა;

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

გაგაცნობთ პედაგოიურ კოლექტივს: **ქუთათელაძე მარიამ**-დირექტორი,

კიკნაძე თამარ – სასწავლო პროგრამების მენეჯერი, ამზაშვილი ნანა-ადმინისტრაციის მენეჯერი, ახვლედიანი ელისო – დაწყებითი სკოლის მენეჯერი, **გელაშვილი ეკატერინე**-ფინანსური მენეჯერი, **გელაშვილი მარინე** – საქმეთა მწარმოებელი, **მაგრაქველიძე ხათუნა** – ადმინისტრაციის კოორდინატორი, **ოსეფაიშვილი თამარ** – მდივანი, **გოგსაძე მაია** – ბიბლიოთეკარი.

ამის გარდა სკოლაში მრავალი კლასგარეშე საინტერესო ღონისძიება ტარდება. ზოგიერთ აქტუალურს დავასახელებთ: ილაია ჭავჭავაძის კვირეული. შეხვედრა ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორთან, **ანდრო ბედუკაძესთან,**

ილია ჭავჭავაძის კვირეული ლიტერატურულ – მუსიკალური ჩანახატი: **„ილიას ცხოვრების გზა.“** საუბრები „სკოლა XXI საუკუნეში“. შეხვედრა ნიდერლანდების ელჩის მეუღლესთან, ქალბატონ **ალაიდ დუუმთან,** შეხვედრა სამხრეთ კორეის ელჩთან **კიმ ჩან გიუსთან,** მესამე და მეოთხე კლასებისათვის ვიქტორინა **რევაზ ინანიშვილის** მოთხრობების მიხედვით, პროექტი – ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მოდელირება, მესამე და მეოთხე კლასების მოსწავლეების სიგელებით დაჯილდოება, **რა? სად? როდის? 2017.**

აი, საამაყო კურსდამთავრებულები:

აბესაძე ელენე — მეტროპოლიტენის უნივერსიტეტი (ბუდაპეშტი), ბიზნეს ადმინისტრირება და მენეჯმენტი; **ანანიაშვილი ნინო** — თეატრალური უნივერსიტეტი, დრამის ფაკულტეტი; **ლიპარტიანი მარიამი** — ვერცხლის მედალოსანი-თავისუფალი უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინისტრირება; **მეტრეველი ნანუკა** — ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი; **ფანგანი გიორგი** — ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, **ქორქაშვილი გუგა** — საერთაშორისო ურთიერთობები; **ჩიხელიძე ნიკოლოზი** — ამსტერდამის უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინისტრირება; **ჭაბუკიანი სანდრო** — აგრარული უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინისტრირება; **დუგლაძე მანანა** — ლონდონის უნივერსიტეტი, დიზაინი.

სკოლის სამომავლო გეგმებია:

– აკადემიური საქმიანობა – სწავლა – სწავლების ხარისხის ამაღლება;

– სასკოლო გარემოს გაუმჯობესება – წარმატებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს დამკვიდრება; სკოლის კულტურის ამაღლება;

– მატერიალური რესურსები – ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

– უსაფრთხოება – უსაფრთხოების სამსახურის გაძლიერება;

„სახალხო განათლება+“ – ის რედაქცია სკოლა „XXI საუკუნის“ კოლექტივს უსურვებს შემდგომ წარმატებებს მის დაუღალავ, შემოქმედებით საქმიანობაში. გილოცავთ დამდეგ შობა – ახალ წელს!

რომან მოსეშვილი

უკვდავია ნახელავი ხელოვანისა

მინდა ბედნიერ ადამიანებს ვხატავდე!

საბა მაისურაძე (საფარელი)

ცხოვრობს ახალციხეში, სპეციალობით თეოლოგია, დაამთავრა ახალციხის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარია. ადრეული ასაკიდან ხატავს, წერს ლექსებს, უკრავს ფანდურზე, გიტარაზე, ფორტეპიანოზე, მღერის... ამბობს, რომ სიმღერის ნიჭი და სიყვარული დედისგან მემკვიდრეობით ერგო... ხშირად იწვევენ ტელე და რადიო გადაცემებში, აქვს საოცარი უნარი გადმოგდოს სულიერი სიმშვიდე, გაწონასწორებულია და ძნელად გამოდის მწყობრიდან... რომ ჰკითხოთ რომელ სფეროშია უფრო ძლიერი, ვერ გიპასუხებთ... როგორც თვითონ ამბობს ყველაფერი გულიდან მოდის, მისი კავშირი შემოქმედებასთან სამუდამოა და რომელიმე მათგანის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად ეჩვენება... ჰყავს მეუღლე – ანა თაქთაქიძე და ერთი ვაჟიშვილი – შიო.

თავად კი საბა მაისურაძე გახლავთ. „საფარელი“ მისი ფსევდონიმია. მის შერჩევაზე ბევრი არც უფიქრია, თუმცა, ამ ყველაფერზე თავად მოგვიყვება...

–პირველ რიგში მოგესალმებით, უფლისმიერი მშვიდობა და სიხარული თქვენდა. მოხარული ვარ, რომ ვარ თქვენი გაზეთის სტუმარი...

ჩემს ფსევდონიმთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ალბათ, ყველა ადამიანს აქვს რაღაც პერიოდი თუ მოვლენა ჩაბეჭდილი გულსა და გონებაში, პერიოდი, რომელიც მთელ მის ცხოვრებას ლაიტმოტივად გასდევს. ჩემთვის ასეთი საფარის მონასტერია და იქ არსებულ სასულიერო სემინარიის კედლებში გატარებულ წლებს უკავშირდება. ნათლად მახსოვს, პირველსავე ლექციაზე ერთმა სასულიერო პირმა ასეთი რამ გვითხრა: **„გილოცავთ! თქვენ საფარელები ხართ და ყოველთვის საფარელებად დარჩებით აქედან სადაც არ უნდა წახვიდეთო“...** გარდა ამისა საფარის წმინდა სავანეში ვარ მონათლული, საფარაში ვცხოვრობდი წლების მანძილზე, იქ მივიღე განათლება და ცხადია, საფარა - ჩემი იერუსალიმია, ვამაყობ რომ საფარელი ვარ!

– რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში ხელოვნებას?

– მიჭირს ამის ზუსტი განსაზღვრა, ვფიქრობ, უზარმაზარი... ხელოვნება ჩემი ცხოვრების ნაწილი კი არა, თავად ცხოვრებაა ხელოვნებაში... ხელოვანი სულ სხვაგვარად ხედავს, გრძნობს, განიცდის, ჯადოსნურ სამყაროში მოგზაურობს თავად, და ამოგზაურებს სხვებსაც...

– რა ასაკიდან ხატავთ, ამჟამად თქვენი ძირითადი საქმიანობა ხატვაა თუ ყველა შემოქმედებით უნარს და ნიჭს ერთდროულად იყენებთ...

– ვხატავ ადრეული ასაკიდან, 14 წლიდან კი, სერიოზულად მოვეკიდე ამ საქმეს, 29 წლის ასაკიდან განვავითარე ჩემში ეს უნარები, ახლა 32 წლის ვარ და ყოველდღე შემოქმედებითად ვიზრდები. ასეა თუ ისე, ხატვა მაინც რჩება ჩემს ძირითად საქმიანობად. ხატვა შთაგონების წყაროსთან ერთად შემოსავლის წყაროდაც ვაქციე...

– თქვენ თქვით, რომ ხატვა შემოსავლის წყაროდაც აქციეთ...

– დიახ, ასეა. ბოლო სამი წელიწადია ძირითადად ვხატავ პორტრეტებს შეკვეთით, უმეტესწილად თბილისიდან ვიღებ შეკვეთას, რამდენიმე შეკვეთა მივიღე ბათუმიდან, ქუთაისიდან, და კიდევ, არ შემიძლია არ აღვნიშნო სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი ძვირფასი ემიგრანტებისგან... გარდა ამისა, საკვირაო სკოლაში ვასწავლი კატეხიზმოს (ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლებს), ხოლო საზოგადოებრივ კოლეჯში სპეც-ხატვას... მყავს მოსწავლეთა რამდენიმე ჯგუფი, რომელსაც გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას ვასწავლი, საკმაოდ დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მოსწავლეებს შინაც ვიღებ და ყოველთვის მაქსიმალურად ვიხარჯები...

– ნახატებთან მიმართებაში, პირველ რიგში ვისი აზრია თქვენთვის მნიშვნელოვანი, ვინ არის თქვენი შემოქმედების ნომერ პირველი შემფასებელი?

– დავიწყებ იმით, რომ საკმაოდ თვითკრიტიკული ადამიანი ვარ, ადვილად არ ვნებდები, ბევრს ვშრომობ, ბოლომდე ვიხარჯები... ჩემი შემოქმედების ნომერ პირველი შემფასებელი და ასევე, უდიდესი მუხტი ჩემი ოჯახია - დედა, მეუღლე და ვაჟიშვილი. რომ არა ისინი, ასეთი შემართებით, ასეთი დატვირთვით ვერ ვიმუშავებდი. ისინი ჩემი მუდმივი ენერგიის წყარო გახლავთ, ასევე, ჩემს მეუღლეს ძალიან კარგი ხედვა აქვს და მის აზრს მუდმივად ვითვალისწინებ.

– ვიცი რომ მღერით, მუსიკასთან თქვენს დამოკიდებულებაზეც გვითხარით ორიოდ სიტყვით...

– მუსიკის ნიჭი მემკვიდრეობით მერგო დედისგან, სამი წლის ასაკიდან ვმღერი. ჩემს წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში მუსიკის ნიჭი დიდად დამეხმარა, მუსიკის წყალობით გახდა ჩემი ცხოვრება მრავალფეროვანი და საინტერესო. სასცენო ცხოვრება, ღონისძიებები, ფესტივალები, ტელე და რადიო პროექტები, გასტროლები, ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანის გაცნობა, პიკნიკები, ლაშქრობები, სასიამოვნო მოგონებები – ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში „მუსიკამ მოიტანა“, სიმღერის ნიჭს უკავშირდება.

– სამომავლო გეგმებზეც მოგვიყევით...



– არასდროს არაფერს ვგეგმავ... უფლის განგებით დრო თვითონ მოიტანს ყველაფერს, მე უბრალოდ ვშრომობ, არ მეზარება შრომა და საკუთარ თავზე მუშაობა ...

– ახლო მომავალში თქვენი ნახატების პერსონალური გამოფენა იგეგმება, იქნებ ორიოდე სიტყვით ამაზეც გვითხრათ...

– დიახ, 22 დეკემბერს ახალციხეში ჩემი პირველი გამოფენა მოეწყობა, სადაც ჩემი ასობით ნამუშევრიდან მხოლოდ ოცდაათს გამოვფენ.

– რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს?

– მინდა უფრო მეტად გვიყვარდეს ერთმანეთი, მეტად გავხსნათ გულის კარები, რაც შეიძლება ბევრჯერ, ხშირად



გაშალეთ ხელები საყვარელი ადამიანის ჩასახუტებლად. ნუ დავწვრილმანდებით, ვთესოთ სიყვარული... ცხოვრება ხანმოკლეა, სიყვარული მარადიული... იხარეთ ქართველებო, ღმერთი გწყალობდეთ, მზე დაგნათოდეთ, სიყვარული გათბობდეთ!

ირმა მეგრელიძე



ალექსანდრე ქუთათელაძე – „ბერმუხა“ – 80

სახელოვანი მაესტროს ღვაწლი და დაფასება

ვაჟა–ფშაველამ უსუსხა მათრახი თანამედროვეთ – ჩვენში რომ ცოცხალს მიცვალებულის მეასედ პატივს მიაგებდნენ,კაცს რადა მოკლავდა, ჯანი წაიღო ყოველდღიური სარჩოსათვის წელებზე ფეხის დადგმამ, თუ საქართველოსთვის მართლაც რამეს ვნიშნავ, მომხედეთო.

საბედნიეროდ, ხელოვნების მე-19 სკოლის პედაგოგს, ბერმუხად წოდებულ ბატონ **ალექსანდრე ქუთათელაძეს** სიცოცხლეშივე დაუფასდა ღვაწლი და ამაგი: **არის საქართველოს დამსახურებული არტისტი; 2002 წელს ქალაქის საუკეთესო პედაგოგის წოდება მიენიჭა; დაჯილდოებულია დიპლომებითა და საპატიო სიგელებით.**

აგერ 3 დეკემბერსაც, მისი დაბადების მე-80 წლისთავზე, ქალაქის კულტურის სამსახურის ახლადდანიშნულმა უფროსმა ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ მისი სამსახურისა და ქალაქის მერის სიგელები გადასცა. ბატონ კახა კალაძის ხელმოწერილ სიგელში აღნიშნულია ბატონი ალექსანდრეს უდიდესი ღვაწლი სამშობლოს წინაშე. სკოლა ძალზე ემადლიერება ქალბატონ სოფიოს.

მან დიდი მოუცლელობის მიუხედავად, შეძლო დროის გამონახვა, რათა პატივი მიეგო ესოდენ დამსახურებული პიროვნებისათვის და–სკოლის პრობლემების გასაცნობადაც.

აქვე იყვნენ კულტურის სამსახურის სპეციალისტები, ქალბატონები **ია ქარდავა და ელენე ვოდაველი.** მათ სკოლა ემადლიერება მუდმივი თანადგომომისათვის.

მაშ, დაფასდა **ალექსანდრე ქუთათელაძის** ლამის 55 – წლიანი თავდადებული, მიზანმიმართული, შემოქმედებითი შრომა. უნდა დაფასებულიყო კიდეც! მადლობა ყველას, ვინც დაინახა და დააფასა მისი ესოდენი ღვაწლი და შემართება.

მაგრამ ყველაზე დიდი დაფასება მაინც კოლეგების, მისი ოსტატობისა და გულქართლობის ყველაზე უკეთესი დამფასებლებისა და შემფასებლების, აღზრდილების უსათუთესი სიყვარული და პატივისცემაა.

კოხტად გაფორმებული აფიშა გვამცნობდა, რომ 3 დეკემბერს თბილისი ხელოვნების მე-19 სკოლის საკონცერტო დარბაზში საქართველოს დამსახურებული არტისტის, საყვირის კლასის პედაგოგის **ალექსანდრე** (კოსტა,ოთარ,ბერმუხა) **ქუთათელაძის** დაბადებიდან **80 წლისთავისადმი** მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი გაიმართებოდა.

აი, ასე, თუნდაც აფიშიდან იწყება გულის სითბო, კაცური მოფერება, ყურადღება. ცხადია, კონცერტიც გაიმართა. და მერე როგორი! მაგრამ მანამდე მცირე „დოსიე“:

1937 წელს დაიბადა სამტრედიაში. მამა 1939 წელს გადაასახლეს და იქ გარდაიცვალა. უკაცოდ დარჩენილ ოჯახს დედა გაუძღვა. ხუთი შვილი აღზარდა ღირსეულად.

მუსიკას სამტრედიაში ეზიარა **პავლე ყიფშიძის** ხელდასხმით. იგი ბატონი ალექსანდრეს ნათლიაც გახლდათ. შემდეგ – თბილისი, ნიჭიერთა ათწლედი და სახელმწიფო კონსერვატორია. მუშაობს საოპერო სტუდიაში. 1963 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა: 89-ე საშუალო სკოლასთან ჩამოაყალიბა მუსიკის სკოლა, რომელსაც თხუთმეტი წელი ხელმძღვანელობდა. 80-იან წლებში დირიჟორობდა გურჯაანის სასულე ორკესტრს. პარალელურად ასწავლიდა პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. 1965 წლიდან 2000 წლამდე ოპერის თეატრის ორკესტრის მსახიობია. ამჟამად ბატონი ალექსანდრე (80 წლისა!), ერთდროულად თბილისის ხელოვნების მე-19, მე-20 და რუსთავის მე-3 სკოლებში იღწვის.

„ბატონი ალექსანდრე ჩემი პირველი პედაგოგია. 89-ე სკოლაში სოლფეჯიოს მასწავლიდა. ძალზე ბევრ, ჩემს თანატოლს სურდა მუსიკის შესწავლა. დედას ვუთხარი, მეც მინდა -მეთქი. ინსტრუმენტი არა გვაქვს და, აბა, როგორ ისწავლიო, მიპასუხა. მაინც გავყევი კლასელებს კონკურსზე. კართან ავიტუზე. ხელით მანიშნა, მოდიო. მამღერა, შემამოწმა და იმოდენა კონკურსანტს შორის გამომარჩია – მიღებული ხარო მითხრა. ამოვილუღლუღე, ინსტრუმენტი არა გვაქვს-მეთქი. დედა დაიბარა. მივედით. აი, ჩემი კაბინეტის გასაღები. როცა არავინ იქნება, შედით და დაუკარიო“.

ეს მოუთხრო შეკრებილთ მე-19 სკოლის ვოკალის პედაგოგმა ქალბატონმა **თინა იმერლიშვილმა**.

ამიტომ შეკრებილნი, ისინი ვინც ყველაზე უკეთ უწყიან ბატონი ალექსანდრეს ჭეშმარიტი ნიჭიერება, იქ მხოლოდ მისი პროფესიონალიზმის პატივისცემამ კი – არა, მისმა კაცურ – კაცობამ , დიდმა ადამიანურმა ღირსებამ და გულისხმიერებამაც მიიყვანა. მუსიკოსთა დიდი ოჯახი შეიკრიბა.

საოცარი სითბოთი და ხელოვნებით უძღვებოდა კონცერტს მე-19 სკოლის დირექტორი ბატონი **თამაზ მოლაშვილი,** ვისი დიდი წვლილიცაა ასეთი დიდებული საღამოს გამართვაში.

კონცერტში ოსტატურად ენაცვლებოდა ერთმანეთს მუსიკალური ნომრები და ბატონი ალექსანდრეს კოლეგების, აღზრდილების გულიდან ამომავალი უდიდესი მადლიერების სიტყვები.

სცენა მესაყვირეებს დაეთმო. იმათ, ვისაც ახლა აკვალიანებს ბატონი ალექსანდრე. ჯერ **ელმირა აივაზიანმა** შეასრულა **გედიკენეს** „საკონცერტო ეტიუდი“. შემდეგ მან და **ბექა გოგსაძემ** დაუკრეს კომპოზიტორ **მერაბ მერაბიშვილის** „წარსულის გამოძახილი“; **ლუკა ჩომახაშვილმა** კვლავ მერაბიშვილის „რაფსოდია“ აახმიანა; **ვალერი ჯაშიაშიაშვილმა** კი – „მუსკატ – სამბლე“ (კონცერტმაისტერი – **ვლადიმერ ზურაბიშვილი**).

ისმოდა ტაში. გამობრძმედილი პროფესიონალები ასე აფასებდნენ დამწყები მისიკოსების ოსტატობას, გზას ულოცავდნენ კლასიკური მუსიკის ზეადმტაც,მაგრამ ურთულეს გზაზე.

მოცარტის ოპერა **„ფიგაროს ქორწინებიდან“** ქერუბინოს არიით მიულოცეს იუბილე ღვაწლმოსილ პედაგოგს ვოკალისტმა **ხათუნა მოლაშვილმა**, ფლეიტისტმა **ნია ფარასტაშვილმა** და კონცერტმაისტერმა **ნინო ავალიანმა**.

კონსერვატორიის სტუდენტმა, ბატონი ალექსანდრეს აღზრდილმა, **ვლადიმერ გევორქიანმა,** ვისი პედაგოგიც კონსერვატორიის პროფესორი, თავადაც ბატონი ალექსანდრეს ნამოწაფარი ბატონი **ლერი ჭეჭელიშვილი** გახლავთ, დიდებულად შეასრულა **ანისიმოვის** „ქრომატიული ეტიუდი“, ხოლო კონსერვატორიის სტუდენტმა, ცხადია, კვლავ ბატონი ალექსანდრეს აღზრდილმა **გიორგი მათიაშვილმა** (პედაგოგი – **გარი ანტონიანი**) ჰუნოს „სერენადით“ მოხიბლა მსმენელი.

შემდეგ ოსტატმა და შეგირდმა – ბატონმა ლერიმ და ვლადიმერმა „მუხამბაზით“ დაატკბეს მსმენელები.

მე-19 სკოლის კონცერტმაისტერმა **შორენა ებრალიძემ** და **ვლადიმერ ზურაბიშვილმა** ოთხ ხელში პირველად შეასრულეს **მერაბ მერაბიშვილის** სპეციალურად ამ იუბილესათვის დაწერილი **„სერენადა“**.

ბოლოს კი ვირტუოზმა მესაყვირეებმა, ბატონებმა: **ნუგზარ გეწაძემ, ემზარ გვარამაძემ** და **გარი ანტონიანმა** ანდერსენის **„მესაყვირეთა აღლუმი“** ისე დააგუგუნეს, რომელი აღლუმი შეედრებოდა.

ზემოთ ვთქვი, ოსტატურად ენაცვლებოდა საკონცერტო ნომრები და მილოცვები-მეთქი. მაგრამ – „მოზაიკას“ ყველაზე „ტკბილი ლუკმის“ ბოლოსათვის შემონახვა ვარჩიე. ყველა გამომსვლელს ორიოდ წინადადებაც რომ ვათქმევინო, ძალზე გამიგრძელდებოდა სიტყვა. ამიტომ ნუ მიწყენენ – გამგებმა ხომ გაიგო?! ჰოდა, რამდენიმე ამონარიდით შემოვიფარგლოთ.

კონსერვატორიის პროფესორი **ლერი ჭეჭელიშვილი:** „ორმოცდაათი წელია ვიცნობ. ჩემი აღმზრდელი პედაგოგია. უდიდესი სპეციალისტი და უწესიერესი, ჰუმანური ადამიანია. უტყუარი ალღო აქვს: ბებს მიაღწია: **ვალერია პავლოვი, ოლეგ პოპოვი, ვალერი ჯუმიგა, ვლადიმერ გრიადუნოვი, იური ლიუბიჩი, ლერი ჭეჭელაშვილი, დემურ კარაპეტოვი, ირაკლი გაგნიძე, დავით მახარაძე, მიხეილ გულიევი, დავით ქევხიშვილი, ვლადიმერ ლომიძე, ერვანდ მარქარიანი, ვახტანგ სირბილაძე, ედვარდ შაქარაშვილი, გიორგი მათიაშვილი, ვლადიმერ გევორქიანი, დავით სადუნიშვილი, გიორგი სტურუა, ხვიჩა თომაშვილი, გიორგი სოვდაგაროვი, გიორგი ოქროპირიძე, გიორგი რობაქიძე, ვახტანგ წერეთელი, მამუკა მეფარიშვილი, გიორგი ასანიძე, ლექსო ექიზაშვილი, ილია და გივი შიოლაშვილები, ოლეგ ოგანეზოვი, პაატა ბერიძე, ნოდარ მაღალოვი, ზაზა ნამორაძე...**

სწორედ აქაა ბატონი ალექსანდრეს ბაღდადი; სწორედ – მათ და კიდევ მრავალთა აღზრდას მიუძღვნა სიცოცხლე. და რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს მადლი ესოდენ სიყვარულად, დაფასებად და პატივისცემად დაუბრუნდა ჭეშმარიტად სასიქადულო პედაგოგსა და მამულიშვილს.

ვისზეც იტყვის, ამისგან რამე გამოვაო, აუცილებლად გამოვა. ალბათ, ძნელად მოინახება პედაგოგი, გაკვეთილი რომ არ გაეცდინა. ბატონ ალექსანდრეს ერთი გაკვეთილიც არ გაუცდენია!“

ხელოვნების მე-20 სკოლის დირექტორი **ალა ლაფერაშვილი:** „ერთი სიამოვნებაა ბატონ ალექსანდრესთან მუშაობა. როგორ უყვართ ბავშვებს! თითქოს აჯადოებსო, პირველი გაკვეთილიდანვე ვეღარ სცილდებიან ვერც პედაგოგსა და ვერც ინსტრუმენტს“

ხელოვნების მე-3 სკოლის დირექტორი **მიხეილ ტაბატაძე:** „რუსთავში სწორედ ბატონმა ალექსანდრემ დააფუძნა საყვირის კლასი. უაღრესად კეთილშობილი ადამიანი და უდიდესი სპეციალისტია. ბავშვები თავს ურჩევნია და ისინიც დიდი სიყვარულით პასუხობენ. დიდი მადლობა მას!“

დაბოლოს, ბატონი ალექსანდრეს დიდი ღვაწლის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია მისი იმ აღზრდილების არასრული ჩამონათვალი, ვინც კონსერვატორიაში განაგრძო სწავლა და დიდ წარმატე-

კონსტანტინე გურგენიძე

ყველაფერი საუკეთესო–„ბენიკანას“ ცეროდენებს!

„ეს თვალები რაღას ნახვენ შენს უკეთეს სანახავსა?“

სათაურად გამოტანილი აკაკის ეს სტრიქონები გამახსენდა, როცა სკოლამდელთა კერძო ბაგა–ბაღ **„ბენიკანას“** ვეწვიე. მართლაც, დიდებული, ზღაპრული ბავშვთა სამყაროა. ისეთი პირობებია, ცუგრუმელებს აქეთკენ სიამოვნებით მოუხარიათ. მშობლები ხომ კმაყოფილნი არიან და არიან. რა გინდა, სულო და გულო: ბუნების წიადი, სითბო და ალერსი, გართობა, მეცადინეობა, დედობრივი ზრუნვა ყველაფერი აქ არის. ბაღის იერ–სახე შიგნით და გარეთ ესთეტიკურია. ნაძვნარში ჩაფლული ვრცელი ეზო მოგხიბლავს.

ახლა ზამთარია, ცივა, მაგრამ გაზაფხულზე პატარები ჟრიამულით რომ მოედებიან არე–მარეს, ყველა აღტაცებაში მოდის. ხანდაზმული წამოიძახებს: **„ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ, ნეტავი!“.**

თბილისელ ბავშვებს ძალიან აკლიათ ბუნების ასეთი მაცოცხლებელი გარემო. *ემატება მეტად გამოცდილი, გატაცებით მოღვაწე აღმზრდელ–პედაგოგები და ადვილად მიხვდებით, როგორი იქნება საერთო წარმატების კოეფიციენტი.*

სწორედ ამ საკითხებზე გვქონდა დირექტორთან საუბარი. დირექტორი **ნინო ჭოხონელიძე** *ბრწყინვალე პიროვნება გახლავთ. გამოცდილი, ტკბილმოუბარი, ბავშვებზე შეყვარებული, პროფესიონალი. ბავშვებში, მშობლებში, თანამშრომლებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.*

ზოგიერთი აღმზრდელ–პედაგოგი პირადად გავიცანი, ზოგი კი დირექტორის დახასიათებით. წინასწარ უნდა აღვნიშნო, ყველა აღმზრდელსა და თანაშემწეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვთ მიღებული.

აი, თუნდაც, გამოცდილი, ინიციატივიანი შემოქმედი, უფროსი ჯგუფის აღმზრდელი **ია კანდელაკი**. მას მხარს უმშვენებს ასევე გამოცდილი თანაშემწე **ფეფო ენუქიძე. ია კანდელაკი:** ვმუშაობთ **„სასკოლო მზაობის“** პროგრამის შესატყვისად, რომელიც მოიცავს სასწავლო–აღმზრდელობით (უნარ–ჩვევების აღზრდის, სკოლისათვის მომზადების) თემატიკას. ტარდება მეცადინეობები, ღია გაკვეთილები, დროის შესაბამისი შემეცნებითი ღონისძიებები: **„რა? სად? როდის?“, „დედის დღე“, „ნაძვის ხე“, „მხიარული სტარტები“, „ბოლო გამოსაშვები ზეიმი“** და სხვა.

„თბილისობასთან“ დაკავშირებით მოეწყო შემოდგომის ზეიმი ცეროდენების აქტიური მონაწილეობით: დაწურეს ყურძენი, მოადუღეს თათარა, ამოავლეს ჩურჩხელები.

ხატვას, ძერწვას, აპლიკაციას. ვაწყობთ საუკეთესო ნიმუშების გამოფენას. ბევრი ნიჭიერი ბავშვი გვყავს...

ეიგივე უნდა ითქვას უმცროსი ჯგუფის აღმზრდელ–პედაგოგზე და მის თანაშემწეზე. **სოფიო ახობაძე** მეტად გამოცდილი, ენერგიული მუშაკია. თანაშემწე **ანა ნანეიშვილთან** ერთად იგი ყველაფერს აკეთებს ნორჩების დასაფრთიანებლად.

ვაგრძელებთ საუბარს დირექტორთან: პატარები შესანიშნავად იკვებებიან. ეკოლოგიურად სუფთა, სულ ახალთახალი, ჯანსაღი პროდუქტები შემოგვაქვს (რძის ნაწარმი, ხორცი, თევზეული, ხილი, ბოსტნეული...). ცეროდენებს ძალიან უყვართ მზარეული **ლელა სიდამონიძის** მომზადებული კერძები. ეწყობა კულინარიის დღეები. ეფექტიანად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი: **ინგლისურში, ქართულში, მათემატიკაში.** ვასწავლით აგერ უფროსჯგუფელები ხატავენ...

ამ საუბარში რომ ვიყავით, ერთმა ბიჭმა მოირბინა, **დიტო ქიტიაშვილი** ვარო. თავისი ნახელავი გვიჩვენა **„ბიჭი საქანელაზე“.**

ახლოს, 207-ე საჯარო სკოლის ეზოში მდებარე ეკლესიასთან, როგორც მრევლს, ურთიერთობა აქვთ **ბაგაბაღელებს.** ისინი აქ **მოძღვრის დეკანოზ ბესარიონის (ბულაშვილი)** ლოცვა-კურთხევის მადლს ეზიარებიან.

ძალიან ბევრს ზრუნავენ ბაგა-ბაღში ცეროდენების ესთეტიკურ, მუსიკალური ხელოვნების აღზრდაზე. ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული მომღერალი ჰყავთ. ამ მიმართულებით გატაცებით მუშაობს მუსიკის ჩინებული მასწავლებელი **ნათელა ჩაჩიბაია.** იგი თავის ნიჭიერებთან ერთად მუდამ საინტერესოს ხდის, აცოცხლებს და ახალისებს ბაგა–ბაღის ცხოვრებას. ამასთან ერთად გამორჩევით ნიჭიერ, დიდი მომავლის მქონე მუსიკოსის დაკვალიანებაზეც ზრუნავს. თბილისის ერთ–ერთ ბაღში კედელზე გვინახავს **გოგი დოლიძის** ფოტო. აქ იზრდებოდა დიდი მომღერალი. იქნებ აქაც, **„ბენიკანაშიც“** ასე მოხდეს.

გვიახლოვდება შობა–ახალი წელი. დღესასწაულისათვის **„ბენიკანას“** *მზადების პროგრამას არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ინტენსიურად ემზადებიან ცეროდენები, თავადაც იზეიმებენ და მშობელ–აღმზრდელებსაც გაახარებენ. იქნება ჯგუფებში* **„კოხტად მორთული ნაძვის ხე“, ლექსები, ცეკვა–სიმღერები, წარმოგვიდგებიან ჯადოსნური ზღაპრების პერსონაჟები. იქნება ჩიჩილაკი, ეყოლებათ** *მეკვლედ* **„თოვლის ბაბუა“,** *რომელიც საჩუქრებს არ დაიშურებს. არ ვიცი, ახალ წელს თოვლი იქნება, თუ–არა, მაგრამ ლექსებს მაინც წაიკითხავენ ომახიანად: „მაღლით ციდან ფიფქი ცვივა გვირილების ხელაო...“ ანდა: „შეხეთ პეპლებს, ფრთათეთრ პეპლებს, ხეებს როგორ ედებიან, თოვლი*

გაგრძელება მე–9 გვ.→

„სიხარული“ ზღვა სიხარულს გვპირდება

აქ ცუგრუმელებს დედაზე უკეთ უვლიან



მეტრო „ახმეტელთან“ მდებარე კერძო ბაგა–ბაღ **„სიხარულს“** რომ ვესტუმრე, შოთას სტრიქონი გამახსენდა: **„რა გიამბო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა.“** დიახ, თვალწარმტაცი,მომხიბლავია ყველაფერი ირგვლივ. აქ ზღაპრული ბავშვთა სამყაროა, მაგრამ ეს როდია მთავარი–აქ ყველაზე მნიშვნელოვანია სასწავლო აღმზრდელობითი პროცესი, მისი მაღალი ხარისხი. **„აქ სასკოლო მზაობის პროგრამა“** პირნათლად ხორციელდება. ამის თავდებია გამოცდილი, პროფესიონალი აღმზრდელ–პედაგოგთა საქმისადმი სიყვარული და გატაცება. უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

ჯერ გავიცნოთ ცეროდენების სახლის დიდი დიასახლისი, ფიზიკურად და სულიერად ლამაზი დირექტორი. დედაუნივერსიტეტის აღზრდილი **ნატო ტაბატაძე** გამობრძმედილი პედაგოგია, სკოლაში მასწავლებლად უმუშავნია, დირექტორის მოადგილეც ყოფილა, ამჟამად თავად არის დირექტორი ბაგა–ბაღისა. ენერგიულია, ინიციატივიანი, შემოქმედი. უყვართ პატარებს, რადგანაც თავად უყვარს ბავშვები. პატივს სცემენ თანამშრომლები, რადგანაც თავად არის ჰუმანური, მათი შრომის დამნახავ–დამფასებელი.

– ბაგა–ბაღის სახელწოდება თავად მოვიფიქრე, – ამბობს ნატო,– რადგანაც მწამს, ბაღმა ბავშვებს დიდი სიხარული უნდა მიანიჭოს. ამ საუბარში რომ ვიყავით, მორიდებულად ერთი მშობელი შემოვიდა,–მეორე ბავშვიც თქვენთან მოვიყვანე და გთხოვთ, მიიღოთო. **თიკო ბენდელიანი:** ბაგა–ბაღები აქვე ახლოსაც არის, მაგრამ ჩემი პატარა აქ მოვიყვანე, ისეთი კარგი პირობებია. საკუთარი შვილებივით უვლიან მათ აღმზრდელ–პედაგოგები. ესიყვარულებიან, კვებავენ, ამეცადინებენ, მოკლედ ცივ ნიავს არ აკარებენ. მშობლები ძალიან კმაყოფილნი ვართ.

დერეფანში თავშეყრილ მშობლებს გავესაუბრეთ. ყველამ დიდი კმაყოფილება გამოხატა ბაღის მიმართ.– კვება როგორია?–ვეკითხები. ერთი მშობელი პოეტი ყოფილა, პასუხი ასე გამილექსა: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანა“. ეს მადლობა გემრიელი კერძების ავტორის, გემოვნებიანი მზარეულის **იზოლდა ხვედელიძის** მისამართით ითქვა.

ახლა სხვა თანამშრომლებს გავეცნოთ. აქ ყველა გამოცდილი და ბავშვებზე შეყვარებულია, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ამაგდარი, დიდად ნაღვაწი 25 წლის სტაჟიანი აღმზრდელი **მანანა ბარბაქაძე.** მას სკოლასა და ბაგა–ბაღებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ქალბატონი მანანა ნიჭიერი პოეტიც გახლავთ. მისი ლექსები არაერთხელ გამოქვეყნებულა ჩვენს გაზეთში. იგივე უნდა ვთქვათ ღვაწლმოსილი აღმზრდელის **ნანა ახვლედიანის** შესახებ.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს: **ფატი ცუცქირიძის, მანანა სურამელაშვილის, ია ობგაიძის, მერი ჭანკოტაძის** თავდადებულ შრომას. მაღალ დონეზე ტარდება მეცადინეობები **„სასკოლო მზაობის“** პროგრამებით საწრეო საგნებში, თამაში და გართობაც ხომ იგივე სწავლაა სკოლამდელებში. მხატვრულ–შემოქმედებით თემებზე ღონისძიებებიც კიდევ უკეთესია.

ჩატარდა შემოდგომის ზეიმი, „თბილისობის“ ზეიმი–საინტერესოდ, ემოციურად. მშობლებმა გაიხარეს თავიანთი ნიჭიერი შვილების გამოსვლით.

ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში, მათი ხელოვნებისადმი სიყვარულის, ნიჭის, უნარების განვითარებაში ძალისხმევას არ იშურებენ: მუსიკის მასწავლებელი **ეკა ბაგალიშვილი** და ცეკვის პედაგოგი **ეკა შუბითიძე.**

საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს ბუღალტერ **მელანია ჩხიტუნიძეს**. ბევრს ზრუნავს ბავშვებზე ჰიგიენური და სანიტარული მომსახურების კოორდინატორი **ნინო ზურიკაშვილი.**

მაღალ დონეზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ინგლისურ და რუსულ ენებში. ტარდება ღია გაკვეთილები.

ახლოვდება და მალე კარს მოგვიკაკუნებს შობა–ახალი წელი. მზადება უკვე დაწყებულია. შედგენილია საინტერესო საზეიმო პროგრამა. ყველა ჯგუფში დაიდგმება საახალწლო ნაძვის ხე. ჩიჩილაკიც იქნება და ყველაზე მთავარი მაინც ცეროდენების ზეიმია: ისინი მოგვხიბლავენ თავიანთი ხელოვნებით: ლექსებს იტყვიან, ზღაპრების ინსცენირებას წარმოადგენენ, იცეკვებენ, იმღერებენ, ყურთასმენას დაატკბობს მელოდია: „ფიფქები ცვივა და ფიფქები მღერიან, გამოდი, გამოდი, ახალი წელია!“–ასე რომ, ბაგა–ბაღი **„სიხარული“** ზღვა სიხარულს გვპირდება.

დამდეგ შობა–ახალ წელს ვულოცავთ **„სიხარულის“** ყველა თანამშრომელს და აღსაზრდელებს, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ.

ბორის ხარებავა

→ 1–ლი გვერდიდან

მოდის, ფიფქი ცვივა, განა მართლა პეპლებია?“

ყურთასმენას დაატკბობს ტკბილი, მშობლიური მელოდიები.

გალაკტიონი ხშირად ამბობდა: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“.

დიახ, კიდევ ბევრი კარგი მაქვს სათქმელი „ბენიკანაზე“, მის კოლექტივზე, ცუგრუმელებზე. მოდით, სხვა დროისათვის იყოს.

ახლა კი, დამდეგ შობა–ახალ წელს გილოცავთ დიდო და პაწია მეგობრებო. ბედნიერებას, მშვიდობას, ჯანმრთელობას, ზღვა სიხარულს გისურვებთ. აგხდენოდეთ ყველა ოცნება!

ბორის მიშველაძე ,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

***P.S.** გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ბაგა–ბაღ „ბენიკანას“, მის ყველა ბინადარს ულოცავს დამდეგ შობა–ახალ წელს, გაძლიერებას, უფრო გაბრწყინებას უსურვებს. უბნის მოსახლეობასა და არა მარტო მათ ურჩევს, მოუწოდებს, არ დაკარგონ შანსი და აღსაზრდელად აქ მოიყვანონ თავიანთი პატარები. გვერწმუნეთ, ძალიან კმაყოფილნი დარჩებით.*

აქტუალური თემა

შიდსის პრევენცია



თბილისის 59-ე საჯარო სკოლის (დირექტორი **მაია ლელაშვილი**) მეცხრე (პირველ) კლასში შიდსის საერთაშორისო დღე აღინიშნა.

ღონისძიებას ბიოლოგიის პედაგოგი, **ქალბატონი ეთერ ჯამარჯაშვილი** ხელმძღვანელობდა. ღონისძიებაზე შიდსის თემასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, მოსწავლეებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს შიდსზე და იმსჯელეს აღნიშნული თემის გარშემო: რა არის შიდსი, როგორ გადაეცემა შიდსის ვირუსი, რა სიმპტომები ახასიათებს, ვინ მიეკუთვნება რისკ-ჯგუფებს, როგორ ხდება ინფიცირება, შეიძლება თუ არა მისგან განკურნება, როგორ დავიცვათ თავი შიდსისაგან...

აღნიშნულ თემაზე შეიქმნა საინფორმაციო ხასიათის კედლის გაზეთი. ინფორმაციის შეჯერების და გაანალიზების შემდგომ მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს არის ყველაზე აგრესიული ინფექცია და ყველა უნდა ჩაერთოს მასთან ბრძოლაში.

„- ვთვლი, რომ შიდსზე ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, ეს ღონისძიება თავისებურად სწორი გეზის მიმცემია მოსწავლეებისათვის, მათ უკვე იციან, რომ უნდა ვებრძოლოთ შიდსს და არა შიდსით დაავადებულთ“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ღონისძიების ხელმძღვანელმა, ქალბატონ **ეთერ ჯამარჯაშვილმა**.

სალომე გეჭიტაშვილი

წიგნი, წიგნი გვინდა! კიდევ წიგნი გვინდა!..



ძალიან გაუშინაურდა ჩვენს გაზეთს პოპულარული პოეტი **ნაირა ნიჟარაძე**. ნომერი არ გამოვა, მისი პოეზიით არ დავტკბეთ – საბავშვოთი და სადიდოთი. და განა ეს ცუდია? კარგია და მისასალმებელი. კომპიუტერისაგან წიგნის კითხვას გადაჩვეულ მკითხველებში ისევ გაიღვიძა კითხვის სიყვარულმა.

უამრავი წიგნის ავტორია პოეტი ნაირა. გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა ერთ – ერთი საუკეთესო ლექსების კრებულ **„აბლაბუდა“**-ზე წერილი სათაურით **„აბლაბუდა არც ისე ცუდი ყოფილა“**. წიგნში ისეთი საყმაწვილო ლექსებია, რომ თავად **შიო მღვიმელი** უყოყმანოდ ხელს მოაწერდა.

ახლახან კი არანაკლებ გამორჩეული წიგნი ჩაგვივარდა ხელში ნაირასი **„ვარდის ფურცლები“**. ეს წიგნი ქართული დედა ბუნებისა და სოფლის ჰიმნია. **„ხალხია გამრჯე და ხალხია მშრომელი, ხევებში ბევრია წყალი და მძრომელი, მთებშია ჩაფლული, ბალახში ჩართული. ძოვენ და დადიან ძროხები ქართული. უხვად აქვთ ყველი და უხვად აქვთ ნადუღი, სიმინდი, გოგრა და ლობიო, თავთუხი. ბევრია ასკილი და ლურჯი კუნელი, ქინძი და ცერეცო, ჭინჭარი ულევი.“** ხომ მოგეწონათ მუსიკალურობა? მთელი წიგნი ასეთი მელოდიით არის გაჯერებული. ჩვენ არა გვაქვს საშუალებაწიგნის განხილვისა. ჩვენი მიზანია, მკითხველს შევახსენოთ მისი არსებობა. დანარჩენი მკითხველმა იცოდეს და მისმა მარიფათმა.

ნაირამ საახალწლოდ ცინცხალი ლექსები მოგვაწოდა. ყველას ვერ შევწვდებით, ორიოდე მათგანს კი უთუოდ წაგაკითხებთ.

ბორის ევგენიძე

მასწავლებლებო!

სიკეთით სავსე მასწავლებლებო,
ჩვენს ნაწერებზე თავჩაქინდრულნო,
ზოგჯერ ნაჯდაბნზე, ბატისფეხურზე,
გაღიმებულნო, ცამდე ასულნო!

ნაირა ნიჟარაძის საახალწლო ნობათი

თქვენი მოწაფის ალალ გულებზე,
სამუდამჟამოდ დაწერილებო,
დაუვიწყარნო, მოსაგონარნო,
გასაოცარნო, სულით გმირებო!

ბევრი თქვენგანი მირონცხებულან,
აღარ არიან უკვე ცოცხალი,
მაგრამ ჩვენს გულში ჩაბუდებულან,
ჩვენს სამშობლოზე მუდამ მლოცავი.

როგორც ქართული მზეა მაღალი,
ისე იყავით მუდამ მართალი,
კეთილშობილი, ცოდნის მომტანი,
წყაროს წყალივით სუფთა, ალალი!..

ატენელი ასული

დამხვდა ლამაზი ასული
მამას უვლიდა დავარდნილს,
მშვენიერ სოფლის წალკოტში,
როგორ გამხდარა ავად ის?!

ვარდი, გაშლილი ვენახში,
მშვიდობით მომესალამა,
ფანჩატურიდან მომწყდარმა,
ვერცხლის ცვარნამმა დამნამა.

ოქროს მანტიით მოსილმა
კომშის სურნელმა მაამა,
დაუწურია ყურძენი,
მეც მომაწოდა თამამად.

ხელში ავიღე სასმისი,
თვალი შევავლე იალაღს
და სიყვარულმა ალალმა,
გულმკერდზე გადამიარა.

– დმერთო, აცოცხლე, ამრავლე,
ასული ეს მომდერალი,
ეს მთა და ველი, მამული
და კარმიდამო ქართული!

 არდავიწყება ამაგდარი აღმზრდელისა

მათი ხსოვნა სანთლებად გვინთია

წუთისოფლიდან წასვლა კაცისა მეტად სამწუხაროა, მაგრამ უფრო თავზარდამცემია, როცა საქმე გვაქვს მის ტრაგიკულ აღსასრულთან. ასეთი იყო ბედი თბილისის 172 - ე ბაგა – ბაღის (დირექტორი **თამარ გობეჩია**) დამსახურებული აღმზრდელისა. დიახ, შარშან ზუსტად ამ დროს, ავტოავარიაში დაიღუპა ამაგდარი აღმზრდელ – პედაგოგი **რუსუდან ცარციძე**. უფრო უარესი, მასთან ერთად გარდაიცვალა შვილი **ნათია პერტაია**, იუსტიციის სამინისტროს გამორჩეული თანამშრომელი. ჰოდა, ეს კოლექტივი, დიდი თუ პატარა, რომელთა შორის მრავალი წელი იღვაწა კეთილშობილმა აღმზრდელმა, სიყვარულით და მონატრებით იხსენებენ ძვირფას მასწავლებელს, პატივს მიაგებენ მის ნათელ ხსოვნას.

რედაქციაში მივიღეთ ბაგა – ბაღის მესაძირკვლის, ერთ –ერთი პირველი დირექტორის (მაშინ გამგეს ეძახდნენ) დამსახურებული პედაგოგის, ამჟამად მეთოდისტის **ლიანა აფაქიძის** გულთბილი წერილი. გთავაზობთ, მას:

მრავალი წელი ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს 172-ე ბაგა – ბაღში. მრავალი თაობა აღზარდა, დააფრთიანა და უნარ – ჩვევებით აღჭურვილი გაუშვა სკოლაში. ყველასათვის საყვარელი აღმზრდელი **რუსუდან ცარციძე** უშურველად გასცემდა სითბოს, სიყვარულს და რა გულდასაწყვეტია, რომ მან ბოლომდე ვერ თქვა თავისი სათქმელი. უამრავი გეგმა და სამომავლო მიზნები ჰქონდა დასახული, რომლებიც განუხორციელებელი დარჩა.

რუსიკო ჩვენთვის იყო ყოველთვის სტიმულის მომცემი, მისმა სითბომ და სიყვარულმა შეგვაყვარა ბაღის გარემო. **ძალიან უყვარდათ პატარებს, მათ მშობლებს.**

ყოველი დილა, როცა თავს ვიყრით, მუდამ რუსიკოს გახსენებით იწყება. *დაგვაკლდა ძალიან კარგი მეგობარი, ადამიანი, რომელსაც ყველაფერი გულთან მიჰქონდა ზომაზე მეტადაც კი და იყო ძალიან კეთილი.* **რუსიკო გვენატრები და გვაკლიხარ ბაღში!**

ყველას დაგვწყვიტა გული მისმა მოულოდნელმა წასვლამ ამ ქვეყნიდან. დღემდე ვერ დაგვიჯერებია, რომ ის ჩვენთან აღარ არის.

ჩვენი რუსიკოს ნათელი ხსოვნა უკვდავია მისი აღზრდილების და თანამშრომლების გულში.

განსაკუთრებული გულისტკივილით დაიტირეს იგი ჩვენი აღსაზრდელების მშობლებმა. მთელი კოლექტივის სახელით დიდ მადლობას ვუხდით ჩვენი აღსაზრდელის ერთ – ერთ მშობელს, ქაშუეთის ეკლესიის მოძღვარს, საპატრიარქოს ტელევიზიის წამყვან თანამშრომელს **მამა გიორგის (ფოფხაძეს)**, რომელმაც ქაშუეთის ეკლესიაში პარაკლისი გადაუხადა და, როგორც ჭირისუფალმა, ისე გააცილა ცხოვრების უკანასკნელ გზაზე. კიდევ ბევრი დახმარება აღმოუჩინა და მარადისობაში გადასულის ხსოვნის მიმართ გულის სითბო გამოავლინა. და ჩვენც, თბილისის 172-ე ბაგა – ბაღის თანამშრომლები არასოდეს დავივიწყებთ ძვირფას მეგობარს, კოლეგას **რუსუდან ცარციძეს** და მის შვილს **ნათია პერტაიას**. იქ ნათელი დაადგეთ!

172-ე ბაგა-ბაღის პედკოლექტივი

საკითხავი, ოღონდ არა გასართობად

დღევანდელობის ავან-ჩავანი

***

იყო *ერთი იურისტი განათლების მინისტრი, განათლების მისაღებად გააგზავნეს ინგლისში.*

***

იყო *ერთი ფილაფოზი, წვერება, ვით მღვდელი, მლიქვნელობით მოიხვეჭა მინისტრის პორტფელი.*

***

ჩვენ *თბილისი რომ არ გვსურდა, ისე გაგვინგლისურდა.*

***

იყო *ჩვენი ამომგდები ყოველწლიურად, უცბად გახდა მეგობარი ისტორიულად.*

მედასავლეთე ქართველების სიმღერა

რუსთაველის ხმაზე:

„მას დოლარი არ თუ ხილსა,
ურჩევნია მამულს, შვილსა“.
„სჯობს დოლარისა მოხვეჭა,
ყოველსა მოსახვეჭელსა ”
„ხამს დოლარი, ევრო ჩემთვის,
ამერიკა – გზად და ხიდად“.

გრიგოლ ორბელიანის ხმაზე:

„ლოცვა რად გვინდა, ღმერთი რად გვინდა?
ჩვენთვის დოლარი არს ჩვენი ღმერთი“

ბარათაშვილის ხმაზე:

„რის ქართველობა, რა ქართველობა,
ვითომ რას მავნებს ინგლისელობა?”
„ჯანი გავარდეს აწ ენას, მამულს,
ოღონდ დოლარით ვაამოთ ჩვენს გულს!”

რაფიელ ერისთავის ხმაზე:

„მე მირჩევნია მამულსა ინგლისი დოლარიანი”.
ხალხში გაგონილი ჩაიწერა მოსე მწერალმა.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N19 (4558)
13 დეკემბერი / 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავჯდომარე) 599 34 37 27; ნათელა ქიმერიძე 595 58 45 72; ბორის მიშველაძე 555 59 60 50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42 22 58; ეკა მამუკაშვილი 557 20 85 04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009